შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ბუღალტრული აღრიცხვა

თბილისი

2018 წელი

დოკუმენტის დამტკიცების/ცვლილების/გაუქმების ფურცელი
ბუღალტრული აღრიცხვის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

დამტკიცების საფუძველი	დამტკიცების თვე, რიცხვი და ნომერი	ცვლილების საფუძველი	ცვლილების დამტკიცების თვე, რივხცი ნომერი	გაუქმების საფუძველი	გაუქმების თვე, რიცხვი და ნომერი	შეცვლილი დანართი თავი/მუხლი/ პუნქტი/ქვეპუნქტი	დამტკიცების/ცვლილების /გაუქმების განმახორციელებელი პირ(ებ)ი, სახელი გვარი
ხარისხის მართვის სამსახურის, შორენა ხუბუნაიას 2018 წლის 19 თებერვლის დასკვნა	02.03.2018 №018 ბრძანება	---	---	---	---	---	ია ერაძე დირექტორი
---	---	ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს შორენა ხუბუნაიას 2018 წლის 14 მარტის N216 სამსახურეობრივი ბარათი	15.03.2018 №025 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: მთლიან პაკეტში	ია ერაძე დირექტორი
---	---	ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის შორენა ხუბუნაიას 2018 წლის 25 სექტემბრის N887 სამსახურეობრივი ბარათი	28.09.2018 №113 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №1, №2 და №23	ია ერაძე დირექტორი
---	---	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 28 თებერვლის წერილისა (№103) და აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, შორენა ხუბუნაიას 2019 წლის 4 მარტის N104 სამსახურეობრივი ბარათი	05.03.2019 №012 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: მთლიან პაკეტში	ია ერაძე დირექტორი

---	---	აკადემიის დირექტორის 2018 წლის 2 ოქტომბრის N119 ბრძანებით შექმნილი შიდა მონიტორინგის ჯგუფის კოორდინატორის 2019 წლის 9 სექტემბრის №835 სამსახურეობრივი ბარათი	17.09.2019 №087 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №9	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, თეა მაისურაძის 2019 წლის 11 ოქტომბრის №1254 სამსახურეობრივი ბარათი	11.10.2019 №132 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №1, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №15, №19 და №23	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, თეა მაისურაძის 2019 წლის 26 ნოემბრის №1504 სამსახურეობრივი ბარათი	26.11.2019 №165 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №12 და №23	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2020 წლის 6 თებერვლის №077 სამსახურეობრივი ბარათი	06.02.2020 №014 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №17 და №23	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2020 წლის 25 აპრილის წარდგინება	27.04.2020 №048 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: პროგამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ	ია ერაძე დირექტორი

---	---	პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების ხელმძღვანელების მოხსენებითი ბარათებისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, თეა მაისურაძის 2020 წლის 2 ივნისის N407 სამსახურეობრივი ბარათი	02.06.2020 №069 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14, №15, №16, №17, №18 და №19 მესამე ნაწილში და სწავლების/შეფასების მეთოდები/მიდგომები მოდიფიცირდეს ელექტრონული სწავლების მიზნებისათვის	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, თეა მაისურაძის 2020 წლის 01 ოქტომბრის N00001886 სამსახურეობრივი ბარათი	02.10.2020 №121 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №1, №2, №3, №14 და №23 მესამე ნაწილში	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2020 წლის 23 დეკემბრის N00003675 სამსახურეობრივი ბარათი	24.12.2020 №212 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №23	ია ერაძე დირექტორი
-	-	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2021 წლის 16 თებერვლის N00000466 სამსახურეობრივი ბარათი	18.02.2021 N035 ბრძანება	-	-	ცვლილებები განხორციელდა: მოდულებში: ქართული ენა A2 ; ქართული ენა B1; დისტანციური სწავლების, შეფასების შესაძლებლობის შესახებ	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2021	13.09.2021 №208 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №23	ია ერაძე დირექტორი

		წლის 13 სექტემბრის N00004078 და N00004079 სამსახურეობრივი ბარათები					
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2021 წლის 14 სექტემბრის N00004130 სამსახურეობრივი ბარათი	14.09.2021 №212 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: მთლიან პაკეტში	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2021 წლის 05 ნოემბრის N00006824 სამსახურეობრივი ბარათი	05.11.2021 №311 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №23	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2021 წლის 11 ნოემბრის N00007058 სამსახურეობრივი ბარათი	12.11.2021 №331 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №22	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2021 წლის 09 დეკემბრის N00007796 სამსახურეობრივი ბარათი	11.12.2021 №366 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №22	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა	06.04.2022 №00000055 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №23 და ბიზნეს ადმინისტრირების	ია ერაძე დირექტორი

		მაისურაძის 2022 წლის 05 აპრილის N00002528 სამსახურეობრივი ბარათი				მხარდაჭერის ცენტრის მისამართის ცვლილების შესახებ	
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2022 წლის 28 ივლისის N00005588 სამსახურეობრივი ბარათი	04.08.2022 №00000136 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №5, №6, №7, №9, №10, №11, №12, №19, №22 და №23	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2023 წლის 14 ნოემბრის N00014491 სამსახურეობრივი ბარათი	14.11.2023 №00000342 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №4, №6 და №23	ია ერაძე დირექტორი
---	---	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2023 წლის 21 დეკემბრის N00016418 სამსახურეობრივი ბარათი	22.12.2023 №00000387 ბრძანება	---	---	ცვლილებები განხორციელდა: დანართი: №23	ია ერაძე დირექტორი

პროფესიული საგანმანათლებლო

1. **პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე** - ბუღალტრული აღრიცხვა/Accounting

2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა** - 04114-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“, კოდი 0411, აღმწერი - ,,შეისწავლის ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას.“

4. **მიზანი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

5. **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები** - სრული ზოგადი განათლება

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 69, 69.20.1
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3313

7. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი** - **დარეჯან კვატაშიძე**
8. **სტრუქტურა და მოდულები**

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 99კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 19 თვე. ბუღალტრული აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **99 კრედიტი.**

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 129 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 25

თვე. ბუღალტრული აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **129 კრედიტი.**

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	5
2	მეწარმეობა 3	3
3	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
	სულ:	11
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	7
2	ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება	3
3	სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	9
4	კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	5
5	საგადასახადო დეკლარირება	4
6	სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები	4
7	ინვენტარიზაცია	2
8	ფინანსური ანგარიშგების შედგენა	8
9	ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით	12
10	მმართველობითი აღრიცხვა	8
11	Ms Excel	6
12	ბიზნეს ინგლისური	5
13	აუდიტის საფუძვლები	2
14	ეკონომიკური ანალიზი	5
15	გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა	2
16	პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება	6
	სულ:	88

9. სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა
2. შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები)
3. აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები
4. შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები
5. მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება
6. აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით
7. აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე
8. აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა
9. შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ორი მიდგომით:

ა) სწავლება სრულად მიმდინარეობს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში.

ბ) სწავლება მიმდინარეობს, როგორც შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში, ისე სასწავლო საწარმოში (დუალური მიდგომა).

1. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

სწავლის შედეგების დადასტურების შეფასებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში მოითხოვოს განმეორებით გასვლა სწავლის შედეგების დასადასტურებლად. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

2. სასწავლო საწარმოში სწავლის შედეგების მიღწევა ხდება შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების გზით.

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესი გაწერილია აკადემიის „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურების წესში.“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია;*

დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, მოდულების განმახორციელებელი პირების მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;

ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და გაიაროს შუალედური შეფასება და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დუალური მიდგომით სწავლების ბოლოს პროფესიული სტუდენტი საკვალიფიკაციო კომისიასთან აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას, აკადემიის მიერ დადგენილი წესით.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

- ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტი

14. ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება

პირს ქართული ენის კომპეტენცია უდასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მტკიცებულების საფუძველზე:
- თუ წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ გაიარა ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა და წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ აკადემიის მიერ დადგენილი წესით დაადასტურა ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 სწავლის შედეგები საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში.

პირებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია „მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

დანართები:

1. დანართი 1 - მოდული **უცხოური ენა (ინგლისური ენა) 0230102**
2. დანართი 2 - მოდული **მეწარმეობა 3 0410005**
3. დანართი 3 - მოდული **ინფორმაციული წიგნიერება 2 0610004**
4. დანართი 4 - მოდული **ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები 0411404**
5. დანართი 5 - მოდული **ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება 0411405**
6. დანართი 6 - მოდული **სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა 0411413**
7. დანართი 7- მოდული **კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა 0411410**
8. დანართი 8 - მოდული **საგადასახადო დეკლარირება 0411414**
9. დანართი 9 - მოდული **სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები 0411415**
10. დანართი 10 - მოდული **ინვენტარიზაცია 0411409**
11. დანართი 11 - მოდული **ფინანსური ანგარიშგების შედგენა 0411407**
12. დანართი 12 - მოდული **ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით 0411403**
13. დანართი 13 - მოდული **მმართველობითი აღრიცხვა 0411411**
14. დანართი 14 - მოდული **Ms Excel 0410705**
15. დანართი 15 - მოდული **ბიზნეს ინგლისური 0411402**
16. დანართი 16 - მოდული **აუდიტის საფუძვლები 0411401**
17. დანართი 17 - მოდული **ეკონომიკური ანალიზი 0411406**
18. დანართი 18 - მოდული **გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა 0411408**
19. დანართი 19 - მოდული**პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახო ანგარიშგების მომზადება 0411412**
20. დანართი 20 - მოდული**ქართული ენა A20110001**
21. დანართი 21 - მოდული**ქართული ენა B1 0110002**
22. დანართი 22 - **სასწავლო გეგმა**
23. დანართი 23 - **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ**
24. დანართი 24 **- სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსი**